პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 თებერვალი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 36 (15553)

ჩვენი პრესის საყრდენი

ჩვენს წინაშეა ბრიანსკის ოლქის სუზემსკის რაიონიდან მოსული წერილი. კოკორევის ავიჭის კომბინატის მეჩარხე ე. ვ. ფედინა გვწერს, თუ როგორ დაიწყო მუდმივი თანამშრომლობა რაიონულ გაზეთ „რასსვეტში“: „ერთხელ რედაქციას გავუგზავნე ჩემი აზრი ერთ-ერთი იმ ავტორის მასალებზე, რომელიც ხშირად გამოდის გაზეთში, მხოლოდ საქებარი სტატიები და ყველაფერზე მშრალად, არასაინტერესოდ წერს. მომივიდა პასუხი: „ძა ივნება, რომ თვითონ გამაშუალოთ მასალა თქვენი საწარმოს, მისი წარმატებებისა და ნაკოვანებების შესახებ?. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიბეჭდა ჩემი პიველი მასალა...“ ეკონომისტები დაინტერესდნენ მუშა ქალის მასალებით, რომელსაც დაკვირვებული თვალი და მახვილი კალამი აღმოაჩნდა, მისცეს ახალი დავალებანი, რჩევა, და ხაქმეც აეწყო.

„პრავდა“ ყოველდღიურად იღებს წერილებს, რომლებშიც მკითხველები გამოთქვამენ აზრს სხვადასხვა გაზეთის — კედლის გაზეთი ქნება ეს, ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი თუ ცენტრალური გამოცემები — მასალების გამო, წერენ თავიანთ სურვილებსა და წინადადებებს. ამ წერილების შინაარსი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი პრესა ღრმად ხალხური, წარმომადგენლობითი ხასიათისაა. საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ, რომ პრესა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის პოლიტიკის ერთგული გამტარელი, ყველა საქმეში საიმედო თანაშემწე, ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საზღვარგარეთ მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენების სწორი ინფორმაციის წყაროა.

მშრომელები, რომლებიც პრესას იყენებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხთა დასაყენებლად, რომლებიც მისი მეოხებით ეზიარებიან საერთო პარტიულ, საერთო საელმწიფო საქმეებს, გადიან იდეური და პოლიტიკური აღზრდის სკოლას. ვ. ი. ლენინის ცნობილი სურვილი, რომ თვითეული ბეჭდვითი ორგანოში ხუთ მუდმივადმწერ ლიტერატორზე მოდიოდეს ხუთასი და ხუთი ათასი კორესპონდენტი — ხალხის წარმომადგენელი, ხდება საბჭოთა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირეული პრინციპი.

ხშირად ამ პრინციპის პრაქტიკული განსახიერება უზრუნველყოფს პრესის მტკიცე კავშირს აქტივთან და იმას, რომ ფართოდ ეცნობილია ხაქმეს. პრესაში ახალი შემოქმედებითი ძალებისა და ახალი, დროის შესაბამისი მასალების მუდმივ შემატებას. სწორედ ეს ებმარება გაზეთებს ოპერატიულად შენიშნონ და მბარი დაუჭირონ ახლის, მოწინავის ყლორტებს, შრომელთა პატრიოტული ინიციატივის გამოვლინებებს, ყველასათვის გასაგები ნიმუშებისა და მაგალითების საშუალებით აქტიურად დაამკვიდროს ცხოვრებაში ჩვენი კომუნისტური იდეალები, იბრძოლოს მუშაობის ხარჯრჩენილი ფეოდალების, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ. პარტიული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრივობის აზრზე დაყრდნობა საბჭოთა პრესის გამოსვლების დიდი ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პრესამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაწეული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში. ეუოწლედის მესამე წელს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების ოვითასათი, სართული, მასშტაბი და მრავალფეროვნება ისეთია, რომ ათა გაშუქება პრესაში შეუძლებელია, თუ შრომის ხაუკეთესო ოსტატები, წარმოების ორგანიზატორები, სპეციალისტები, მეცნიერები შემოქმედებითს მონაწილეობას არ მიიღებენ ამ ამოცანათა გაშუქებაში. იმით, რომ მოიზიდავენ ამ ადამიანებს, გაზეთები და ჟურნალები გააძლიერებენ ბეჭდვითი სიტყვის გავლენას ხაქმეთა ვითარებაზე შრომითს კოლექტივებში, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაზე. შიდასამეურნეო რეზერვების გამონახვაში, წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, მომგირნეობის რეჟიმისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვისათვის ბრძოლაში პრესის მონაწილეობის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ავტორთა წრე, ვინ არის თვითეული რედაქციის აქტივში, ვის ეთათბირება, რამდენად სწორად გამოხატავს თვით შეჯიბრების მონაწილეთა აზრსა და გამოცდილებას.

ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვირეებიდანვე ბევრი გაზეთი იყენებს სხვადასხვა საშუალებას, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ მათ განამტკიცონ ყოველდღიური ურთიერთობა, ურთიერთმოქმედება. პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომელთა მასებთან. მუშა კორესპონდენტთა რეიდები და ხაგუშაგოები დამკვრელურ მშენებლობებზე, გამსვლელი რედაქციები დიდ საწარმოებში, შეხვედრები „პრავდა მაგიდასთან“ ეხმარებიან ჟურნალისტებს უფრო ახლოს იყონ ცხოვრებასთან, კვალიფიციურად წერონ სოციალისტური შეჯიბრების, ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის მთავარ მიმართულებებზე ხაქმეთა ვითარების შესახებ. ასევე უფრო ვრცელდება ავრეთვე ჟურნალის მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საზოგადოებრივი განყოფილებები, რედაქციებთან არსებული აქტივისტების, მოწინავეებისა და სპეციალისტების საბჭოები.

სწორად იქცევიან გაზეთები „მოსკოვსკაია პრავდა“, „პრავდა უკრაინი“, „რადიანსკა უკრაინა“, „პრავდა ვოსტოკა“ (უზბეკეთი), „ლენინგრადსკაია პრავდა“ და ზოგიერთი სხვა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ოლქების, ქალაქების, რაიონების საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ბრიგადების, მუშებისა და კოლმეურნეების შეჯიბრებას, ცდილობენ გაზარდონ ამოქმედებული მასალების ქმედითობა იმით, რომ აწყობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საზოგადოებრივ შემოწმებას. ხაგიერო შემდგომშიც ისე ვავითარებდეთ რედაქციათა მასობრივ მუშაობას, რომ ეს აუმჯობესებდეს პრესის შინაარსს, ზრდიდეს მის როლს შეჯიბრების ფართო საჯაროობის უზრუნველყოფასა და მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში.

ზოგიერთი გაზეთი დღემდე ძალზე მორიდებულად იქრება ეკონომიკის განვითარების პროცესში, თითქოს დინებას მიჰყვება, არ იცავს რაიმე თანმიმდევრობას და ისე ბეჭდავს სულ სხვადასხვა ხასიათის მასალებს, არ აანალიზებს, თუ როგორ ხდება ის შემობრუნება მეურნეობის განვითარების ინტენსიური მეთოდებისაკენ, რომელიც განსაზღვრავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

დღეკანდელ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობა პრესისადმი ხელმძღვანელობისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა არ უნდა დაუშვან ჭკვიანმანი მეურვეობა და უნარიანად უნდა წარმართონ ჟურნალისტთა კოლექტივების შემოქმედებითი ძიება, იზრუნონ პრესის გამოსვლების მაღალი ქმედითობისათვის, მახებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს რედაქციათა ოპერატიულ ინფორმაციებს დღის ძირითადი ამოცანების შესახებ, პრაქტიკის საგულდაგულო ანალიზს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა შეხვედრებს ჟურნალისტებთან, პრესის აქტივისტებთან.

ჩვენს პრესას ბევრი მკითხველი, მომთხოვნი მეგობარი და კარგი თანაშემწე ჰყავს. ეს მისი მძლავრი ხაყრდენი, მისი ძალის, ავტორიტეტის, ქმედითობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. მასობრივი მუშაობის განვითარება და სრულყოფა ხაშუალებას მისცემს საბჭოთა პრესას უფრო წარმატებით დაეხმაროს კომუნისტურ პარტიას ხალხის მასების პოლიტიკური აქტივობისა და გამოცდილების შემდგომი განვითარების საქმეში, ხუთწლედის შესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში შრომელთა დასარაზმავად.

ПРАВДА

10 თებერვლის მოწინავე.

ქვეყნის მუშიდოგიანი ფრთები

საფეიმო ქრება მოსკოვში

ჩვენს დროში ძნელი წარმოსადგენია ცხოვრება საჰაერო ტრანსპორტის გარეშე. დღეს სამოქალაქო ავიაცია საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგია. აეროფლოტის თვითმფრინავებს ყოველწლიურად გადაჰყავთ ათეული მილიონობით მგზავრი, გადაჰქონთ ასეული ათასობით ტონა ტვირთი. ავიატორები მხვნელ-მთესველებისა და მეშვეკვარეების, მებადურებისა და გეოლოგების, ენერგეტიკა და მშენებლების თანაშემწენი გახდნენ. საჰაერო მიმოსვლით ახლა ერმანეთთან დაკავშირებულია სსრ კავშირის ყველა დიდი ქალაქი და შორეული რაიონი. საბჭოთა თვითმფრინავებმა ტრასები გასდეს მსოფლიოს ათობით ქვეყანაში.

9 თებერვალს აეროფლოტის მუშაკებმა, მათთან ერთად კი მთელმა ქვეყანამ აღნიშნეს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 50 წლისთავი. კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. კირილენკოს, ფ. დ. კუზნეცოვს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ა. ვ. შელესტს, ი. ვ. ანდროპოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს. მათთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ტ. კულატოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ტ. ნოვიკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი, ი. ს. ნასარიდინოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. ბიორბაძე, სსრ კავშირის მინისტრები, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელები, გამოჩენილი მხედართმთავრები, აეროფლოტის ვეტერანები და მოწინავეები, კოსმონავტი მფრინავები, უცხოელი სტუმრები.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ, რომელსაც კრების მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 50 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოქვეყნებულ მისალმებაში მაღალი შეფასება აქვს შეძენული ჩვენი სამოქალაქო ავიაციის საქმიანობას, მის წელილს სახალხო მეურნეობის ამოცანების გადაწყვეტაში, განსაზღვრულია შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებანი. ნება მიბოძეთ გულითადად მივულოცო პილოტებსა და შტურმანებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, შუშებსა და მოსამსახურეებს — აეროფლოტის მთელ კოლექტივს ნახევარი საუკუნის იუბილეს, შესანიშნავი მიღწევები და წარმატებანი!

საბჭოთა ქვეყნის სამოქალაქო ავიაციამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მისი დაბადება დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან. ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის გარიჟრაჟზე პარტიისა და ხალხის ბელადმა განჭვრიტა, რომ ავიაცია სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული დარგი იქნებოდა, რომელსაც უზნეშვნელოვანესი მნიშვნელობა ექნებოდა სოციალიზმის ქვეყნის მომავლისათვის. და უკვე მაშინ უმძიმეს ეკონომიურ ვითარებაში, ნგრევის მიუხედავად, ლენინმა და პარტიამ მუშათა კლასს, ყველა მშრომელს მოუწოდეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ წითელი საჰაერო ფლოტის შექმნას.

1923 წლის 9 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება სამოქალაქო ავიაციის საბჭოს შექმნის შესახებ. ქვეყანაში იქმნება საავიაციო მრეწველობა, შენდება საეროდრომო ნაგებობანი, ინსნება საჰაერო ტრასები — საფუძველი ეყრება საბჭოთა კავშირის მრავალმაზნიან სამოქალაქო საჰაერო ფლოტს.

ავიაციის მშენებლობამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გაქანება მიიღო, საყოველთაო საქმე გახდა. პარტიის მოწოდება — აგვაშენებინა საჰაერო ფლოტი — დღის ლოზუნგად იქცა, მოიცვა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ფიქრი. და ამ საქმეში, ისე როგორც ბევრ სხვა პატრიოტულ წამოწყებაში, მოწინავეთა რიგებში იყო ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა. ავიაციის შექმნაში უდიდესი როლი შეასრულა ლენინური კომკავშირის შეფობამ. ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ესწრაფოდა დაუფლებოდა ავიატორის მამაცურ პროფესიას. გულის კარნახით ავიაციაში მიდიოდნენ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საბჭოური კონსტრუქციის თვითმფრინავებით საბჭოთა მფრინავებმა მოახდინეს მთელი რიგი გაფრენები, რომლებმაც სასელი გაუთქვეს ჩვენს საშმობლოს. მთელი ქვეყანა დაბაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩალოვის, გრომოვისა და ბევრი სხვა გმირი მფრინავის ლეგენდარულ ფრენას, აღტაცებული იყო მათი გმირობითა და ვაჟკაცობით. დევნიზით — ვიფრინოთ ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე სწრაფად — ჩვენმა უმშარმა შეჯარდნებმა ავიაციის ისტორიაში ჩაწერეს ბევრი ბერიული ფურცელი. მთელ მსოფლიოს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, ჯერ ომისწინა წლებში ჩვენმა საჰაერო ფლოტმა მეტიც ფრთები შეისხა.

ფასდაუდებელია სამოქალაქო ავიაციის დამსახურება ჩვენი ხალხის წინაშე დიდი სამამულო ომის წლებში. ათასობით სამოქალაქო პილოტი მიუჯდა საბრძოლო მანქანების საჭეს, გადმოიჩინა ფრონტზე თავდადება და მაღალი საფრენოსნო ოსტატობა. მამაცი შეიარაღებული ძალების მეომრებთან ერთად სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა თავდადებით ებრძოდა მტერს ეგმარჯვებას. იმ მრისხანე წლებში სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა მიერ ჩადენილი მრავალი გმირობა ვაჟკაცობის, უშიშრობისა და სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების შთამაგონებელი მაგალითია.

განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა სამოქალაქო ავიაცია ომისშემდგომ პერიოდში. იპყრობდა რა ახალ-ახალ ტექნიკურ მიჯნებს, იკი ამ წლებში მართლაც რომ გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ.

სსრ კავშირში პირველი მუდმივი საჰაერო ტრასა მოსკოვ-ნიჟნი ნოვგოროდი შეადგენდა მხოლოდ 420 კილომეტრს. დღეს აეროფლოტის სამგზავრო-სატვირთო ტრასების სიგრძე 800 ათას კილომეტრზე და ერთობლივის უკავშირის ერთ მარტო მსხვილ სარეწველო ცენტრებს, არამედ ჩვენი თავლუწვეული სამშობლოს ყველა მორიელ დასახლებულ პუნქტებს.

თუ 1923 წელს პირით გადაყვანილ იქნა მხოლოდ 229 მგზავრი და ვადატანილ იქნა დასახლებით 2 ტონა ავიაფოსტა და ტვირთი, დღეს ილ-62 ან ტუ-114 თვითმფრინავები ასეთ დატვირთვას ერთ რეისს ანდომებენ.

პირველი საბჭოური თვითმფრინავები საათში 100-150 კილომეტრი სიჩქარით დაფრინავდნენ. დღეს 12 საათში ილ-62 ძლივს მანძილს მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე. უახლოეს დროში კი ჩვენი ზებგერითი ლაინერი ტუ-144 ასეთ მანძილს დაფარავს ოთხ საათზე ცოტა მეტ დროში.

ამ მეკერმეტყველური ციფრების მიღმა დგას ჩვენი ავიაკონსტრუქტორების ვაბედული შემოქმედებითი აზრი, მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ბეჯითი შრომა. ამ ციფრებს მიღმა დგას პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა, მთელი ხალხის მშობლიური მხარდაჭერა ჩვენი ავიატორების სახელოვანი რაზმისათვის, რომლებიც „უნდა ძლევდნენ სივრცეებს!“.

(დასასრული მე-2 გვ.).



მოსკოვი. 9 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. **სურათზე:** ნ. ვ. პოდგორნი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს ამაგრებს აეროფლოტის დროშაზე.

საკდმი. (სურათი მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ხელმძღვანელი პარტიული კადრების სწავლება

9 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა საქალაქო კომიტეტების იმ მდივნების ერთთვიანი კურსები, რომლებიც ხელმძღვანელობენ იდეოლოგიურ მუშაობას. კურსებს მსმენელებს წაუკითხათ ლექციები მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე, პარტიული მშენებლობისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკის, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განათლებისა და კულტურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

დიდი ყურადღება მიექცა იმ იდეურ-თეორიული დებულებებისა და პოლიტიკური ფიქრების შესწავლას, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ი. საბინინი, ვ. თ. შაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის დასაწყებლის გამგის პირველი მოადგილე ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე რ. ა. უელიანოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. ვ. ალექსეევსკი, მ. ა. პროკოფიევი, ნ. ს. პატოლიჩევი, ვ. ი. ტერებილოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტ. ი. სოკოლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ა. ა. ბულგაკოვი, ფ. ტ. ერმაში, ს. ბ. ლაპინი, ბ. ი. სტუკალინი, საკავშირო გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, ახალი ამბების საგენტოს გამგეობის თავმჯდომარე ი. ი. უდალცოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მმდივანი გ. მ. მარკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ო. ა. ზემლიანიკოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

კურსებზე ლექციები წაიკითხეს აკადემიკოსებმა ვ. ა. კოტელნიკოვმა, პ. ნ. ფედოსეევმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ვ. გ. ალექსანდროვმა, ბ. ა. არბატოვმა, მ. ს. კიმმა, ბ. ა. კოზლოვმა, ბ. ლ. სლუჩკოვმა და სხვებმა.

სწავლების პროცესში გაიმართა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების გაზიარება, განხილულ მეცხრე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის მშრომელი მასების დარაზმის საქმეში პრომაგანდისა და აგიტაციის ამოცანები. მოხსენებები გააკეთეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნებმა. კურსებზე მოეწყო სასემინარო მეცადინეობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თეორიული პრობლემებისა და იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკის საკითხებზე მსმენელები გაეცნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მთელი რიგი პარტიული კომიტეტების იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციას, ზოგიერთი ცენტრალური გაზეთისა და ჟურნალის საქმიანობას, შეხვდნენ საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს — მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინემატოგრაფისტებს.

ქართული მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ადგილკომების თავმჯდომარეები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ი. ვეკუამ.**

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. ხარაძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ როგორ გაიზარდა მეცნიერების როლი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში. მან ილაპარაკა ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვან მიღწევებზე, როგორც ფუნდამენტური თეორიული კვლევის განვითარებაში, ისე იმ სამუშაოთა შესრულებაში, რომლებსაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის.

ეს დაადასტურა გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების წლიურმა ანგარიშმა, რომელიც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა მომდინარე წელს.

ამ განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებმა გასულ წელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დანერგეს 16 სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი. მათ შორის არის მოძრავი ენერგეტიკული დანადგარის თბოგაცვლის კონდენსატორის წონის ოპტიმიზაციის მეთოდი, სეისმური რაიონებისათვის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტების ნორმები, თბილისის მეტროპოლიტენის ვენტილაციის ოპტიმალური პარამეტრებისა და ძირითადი განიავების ვენტილატორების მუშაობის გრაფიკის შემუშავება და სხვ.

განყოფილების მუშაობის საქმიანი, კრიტიკული ანალიზი, თქვა მომხსენებელმა, უეჭველია ხელს შეუწყობს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას.

მიღწევებთან ერთად ე. ხარაძემ ილაპარაკა მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს უშლიან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლებას. აქაც სასურველი შედეგებია. მაგალითად, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 23 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებით მიღებულია დიდძალი ეკონომია.

კერძოდ, აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა კაპიტალური მშენებლობის დარგში, დაქსაქსულია ძალები და სახსრები ბევრ ობიექტზე, ნელი ტემპით ინერგება მეცნიერული კვლევის შედეგები სახალხო მეურნეობაში, არ არის დამთავრებული სამუშაოთა დანერგვის ეკონომიური ეფექტიანობის გამოანგარიშების ერთიანი მეთოდიკა, ჭიანურდება მეცნიერული შრომების პუბლიკაცია, საჭიროა დარგობრივი ჟურნალების გამოცემა და სხვ.

შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც გამოვიდნენ გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი **ვ. მახალდიანი,** კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვ. ჭავჭანიძე,** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, პროფესორი **მ. გოგოლაშვილი.**

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა **ი. ვეკუამ.**

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

100 ძროხაზე 105 ხბო

ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობა განთქმულია მეცხოველეობით. მეცხვარეები ყოველთვის გადამეტებით ასრულებენ პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს, მაგრამ სოფელი არც მსხვილფეხა პირუტყვის მომრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებაში ჩამორჩება. გასულ წელს კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა წველადობის ვალდებულება. აქ შარშან ყოველ 100 ძროხაზე 104 ხბო მიიღეს და შეინარჩუნეს. დადიანეთელების ვალდებულებაა მიმდინარე წელს 100 ძროხაზე 105 ხბო მიიღონ და შეინარჩუნონ. კოლმეურნეობის ფერმას 140 ძროხა ჰყავს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მარტიანთ უბნის მეძროხეები, სადაც უკვე მიღებულია 48 ხბო. სანიმუშოდ შრომობენ მწყემსები შ. ბუნტური, გ. პარტიაშვილი და ვ. ბერიანიძე. შრომაში მაგალითის მიმცემია ფერმის გამგე ა. ჩოხელი.

კოლმეურნეობას აქვს საუკეთესო საძროხეები, ხაკვების მრავალფეროვანი და ხაკმარისი მარაგი. მწველავები ცალა და ნინო მარტიაშვილები, სიდო და ოლია ბერიანიძეები წლეულს მიღებულ 10-12 ხბოს ჩინებულად უვლიან.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ჰიაშურა. (საკ. კორ.). კულტურის სასახლეში გაიმართა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების — მშრომელთა წარმომადგენლების აქტივის კრება, რომელშიც განხილა საკითხი — „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალაქის ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ“. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ჰიაშურის ქალაქკომის პირველი მდივანი პ. აბესაძე.

აღინიშნა, რომ მაღაროელებმა კარგად იმუშავეს მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს. მარგანეცის ტრესტმა სამშობლოს მისცა 50 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. რეალიზაციით მიღებულმა ზეგეგმიერმა მოგებამ 700 ათას მანეთს გადააჭარბა. რაციონალიზატორებმა ხუთწლედის ფონდში 600 ათასი მანეთის ნაცვლად მილიონი მანეთი შეიტანეს.

მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. თავით მოწინავე მაღაროელებიც ყველა უბანი და ცეკა გეგმას ვერ ასრულებენ. დამიტროვის სახელობის მაღაროს ვერ შეასრულა წლიური დავალება, კალინინის სახელობის მაღაროს ზარალით დამთავრა სამეურნეო წელი. ჩამორჩებიან მშენებლობის ტრესტის სამმართველოები, სამენ მასალათა კომბინატი.

მარგანეტრესტისა და მარგანმშენის ტრესტების სამმართველოებში შარშან გაკეთდა 4.632 კაცდღე, ფიდია მუშათა დენადობა, რაც ხუსტი აღმზრდელობითი მუშაობითა და საყოფაცხოვრებო პირობებზე ნაკლები ზრუნვით აიხსნება.

ქალაქის მშრომელთა სახელით აქტივის კრებამ იკისრა 1973 წლის სოციალისტური ვალდებულებანი, გაკეთდეს სოციალისტური შეჯიბრება მოძმე უკრაინის რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის ჭ. ორჯონიკიძის და ჭ. ტყიბულის მშრომელებთან.

ჭიათურელ მაღაროელთა ვალდებულებაა წლიური გეგმის ვადამეტებით სამშობლოს მისცენ 20 ათასი ტონა სასაქონლო მარგანეცი. მათ ვადაჭარბებით შესრულეს იანვრის დავალება, ა

ქვეყნის მშვიდობიანი ფრთები

(დასასრული)

მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს ტექნიკური მიღწევები, რომლებიც ძირფესვიანად ცვლიან წარმოდგენას დროისა და მანძილის შესახებ, საბჭოთა ავიაციის ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება ის არის, რომ მან შეიძინა პრინციპულად ახალი როლი ქვეყნის ეკონომიკაში, საზოგადოების ცხოვრებაში, არსებითად გადაიქცა ყოველდღიურ საჭიროებად.

დღეს ძნელია გამოიძებნოს თანამედროვე ეკონომიკის ისეთი დარგი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებული არ იყოს ავიაციასთან. აეროფლოტი დაუცხრომელი მშრომელია კომუნისტური მშენებლობის მთელ უფარფოლს ფრონტზე. მარტო მეცხრე ხუთწლეديის პირველ ორ წელიწადში მიხმა თვითმფრინავებმა გადაიყვანეს 160 მილიონზე მეტი მგზავრი, გადაზიდეს 4 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი და ფოსტა, დაარეწეს დაახლოებით 170 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ფართობი.

სამოქალაქო ავიაციას ფართოდ ვიყენებთ მრეწველობისა და მიწათმოქმედების, კავშირგაბმულობისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისათვის, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობისა და გაზის ტრასების გაყვანისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების ათვისებისათვის. აეროფლოტი თითქოს სულ ახალ-ახალ პროფესიებს ეუფლება. მის არსენალს ემატება სულ უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი მანქანები.

ავიაციის როლი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, უეჭველია, კვლავაც ამაღლდება, განუხრელად გაიზრდება მისი განვითარების ტემპები. ეს ტენდენცია გამომდინარეობს საბჭოთა ეკონომიკის ახლანდელი ეტაპის თავისებურებებიდან, იმ საჭიროებიდან, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა მიღწევა. „ჩვენს წინაშე, ამხანაგებო, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა, — თქვა პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ორგანულად გავაერთიანოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, უფრო ფართოდ განვავითაროთ საკუთარი „სოციალიზმისათვის დამახასიათებელი წარმოებისათან მეცნიერების შეერთების ფორმები“.

ავიაცია თავისი ჩასახვის მომენტიდანვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო. იგი დღესაც არის მეცნიერებისა და ტექნიკის პრაქტიკული განსახიერება და მისი განვითარების დონის ერთგვარი განზოგადებული მაჩვენებელიც. მართლაც, იმისათვის, რომ სამაერო ტრანსპორტი აღვაკურთოთ, უზრუნველყოთ ყოველივე საჭიროთი — მძლავრი ძრავებიდან და უუსტანი ელექტრონული აპარატურიდან თანამედროვე სასმელეთო მოწყობილობამდე — საჭიროა უაღრესად მაღალი მეცნიერული და ტექნიკურ-საწარმოო პოტენციალი.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით, საბჭოთა ხალხის მეცადინეობით ჩვენში შექმნილია ისეთი საპაერო ფლოტი, რომელსაც ბევრი ტექნიკური მაჩვენებელით მოწინავე მიჯნები უჭირავს მსოფლიოში. ჩვენ, ამხანაგებო, სამართლიანად ვამაყობთ შესანიშნავი ავიაკონსტრუქტორების თანამედროვე ავიაციის მთელი რიგი წამყვანი სკოლებისა და მიმართულებების მამამთავართა პლეადით. ჩვენ დიდად ვიფასებთ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ვამომცდელთა. პილოტთა და შტურმანთა, სააეროდრომო მომსახურების მუშაკთა — ყველა იმათ თავდადებულ შრომას, ვინც ჩვენს სწრაფმავალ მანქანებს ქმნის, ასწავლის მათ ფრენას და წარმატებით დაიკავებს ცის რკალინის უკიდეგანო სივრცეებში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული კაცობრობის საერთო სოციალურ პროგრესთან. ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ მეცნიერული და ტექნიკური აზრის ყველა მიღწევა უნდა იყოს მშრომელთა სამსახურში, გახდეს ხალხთა დაახლოების ფაქტორი, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ფაქტორი.

ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ სამოქალაქო ავიაციის მშრომელებსაც. აეროფლოტს ებმლემიანი თვითმფრინავები რეგულარულად დაფრინავენ მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში, მათ კარგად იცნობენ პლანეტის ყველა კუთხეში. ჩვენი საპაერო ფლოტი აქტიურად უწყობს ხელს სახელმწიფოთა მრავალმხრივი ურთიერთობისა და ფართო თანამშრომლობის განვითარებას, ხალხთა დაახლოებასა და მეგობრობას.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო ხანს უმჯობესდება პოლიტიკური კლიმატი მსოფლიოში. მზურვალედ მივესალმებით ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების დადებას, რომელიც მოასწავებს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საერთაშორისო კონფლიქტის ლიკვიდაციას. გულწრფელად გვახარებს, რომ მამაცმა ვიეტნამელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების მხარდაჭერითა და დახმარებით მოიპოვა დიდი და დამსახურებული გამარჯვება. ამჟამად საჭიროა ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე განმტკიცდეს მიღწეული მშვიდობა ვიეტნამში, განხორციელდეს სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგება სამხრეთ ვიეტნამში, რაც შეესაბამება ვიეტნამელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და ეროვნულ მისწრაფებებს.

ახლა საერთაშორისო ვითარებაში დადებითი ძვრების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულად, თანდათანობით გადავწყვიტოთ სხვა მწვავე პრობლემებიც, თანდათანობით დავძლიოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ხალხთა თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო საპაერო მიმოსვლის დარგშიც საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს მგზავრთა და ეკიპაჟთა სიცოცხლისა და უშიშროებისათვის წინასწარგანზრახული საფრთხის შექმნის წინააღმდეგ. ტყუილად ხომ არ ამბობენ: ავიაციას მოწმენდილი ცა სჭირდებაო. ჩვენი ხაზი თანმიმდევრული და პრინციპულია — ადამიანთა სიცოცხლისა და კეთილდღეობას ყველაზე მაღლა ვაყენებთ.

კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განვახორციელებთ საერთაშორისო საქმიანობაში ლენინურ კურსს, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს ემსახურება. ეს კურსი ქმნის ხელშემწყობ გარემოპირობებს მსოფლიო სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენ ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის.

კომუნიზმის მშენებლობის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგმება პარტიის XXIV ყრილობის დიდებული გეგმების, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით რეალიზაციის შედეგად. ამისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის, ჩვენი ტრანსპორტისა და ასევე სამოქალაქო ავიაციის ზუსტ, ორგანიზებულ, მწყობრ მუშაობას. მიმდინარე ხუთწლედში საავიაციო ტვირთზიდვა გაიზრდება 1,7-ჯერ. კიდევ უფრო გაიზრდება ავიაციის როლი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოწყობაში, სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოების ათვისებაში, ტყის მასივების დაცვასა და ჩვენი ქვეყნის შორეული რაიონების მრავალმხრივ მომსახურებაში.

მაღალი მიჯნები უნდა დაძლიოს აეროფლოტმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს. არ შეიძლება არ გაგვახაროს, რომ სამოქალაქო ავიაციის ბევრი მოწინავე მუშაკი და შრომითი კოლექტივი საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების ინიციატორია. მათი ვალდებულებანი გამსჭვალულია პატრიოტული მისწრაფებით 1973 წელი გადაიქცინ დამკვრელური მუშაობის წლად აეროფლოტის ყველა საწარმოსა და სამსახურში.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ სამოქალაქო ავიაციის მუშაკები კვლავაც ბეჯითად იბრძოლებენ საპაერო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ახალი საავიაციო ტექნიკის ათვისებისათვის, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მგზავრთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგებო!

თქვენი კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომა ეყრდნობა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ჩვენი ხალხის მხარდაჭერას. სამშობლო დიდად აფასებს თქვენს დამსახურებას. ამ საზეიმო დღეს დიდ სიხარულს მანიჭებს, გაცნობოთ, რომ საპაერო ტრანსპორტის განვითარებაში დიდი წარმატებებისათვის აეროფლოტი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ნ. ვ. პოდგორნი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასასრულ ნ. ვ. პოდგორნინ თქვა: ჩემთვის სასიამოვნოა აგრეთვე გაცნობოთ, რომ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სამოქალაქო ავიაციის, ანლა უკვე ორგზის ორდენოსანი აეროფლოტის მოწინავეთა დიდი ჯგუფი. თვალსაჩინო მიღწევებისათვის საპაერო ფლოტის 20 მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 20 მფრინავსა და შტურმანს კი „სსრ კავშირის დამსახურებული პილოტისა“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმანის“ საპატიო წოდებანი. საბჭოთის ორდენებით აღინიშნა აგრეთვე აეროფლოტის 10 მოწინავე კოლექტივი.

ნება მიბოძეთ ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მიულოცო დაჯილდოებულთ, უსურვო ახალი შრომითი მიღწევები, ჯანმრთელობა და დიდი პირადი ბედნიერება.

ნება მიბოძეთ მხურვალედ მივულოცო მთელ თქვენს სახელოვან კოლექტივს, სამოქალაქო ავიაციის ყველა მუშაკს მაღალი ჯილდო და გისურვოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალი დიდი წარმატებანი შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით აეროფლოტს გადავცე ოქტომბრის რევოლუციის ორდენი!

ნ. ვ. პოდგორნინ სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნიმ ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბნია აეროფლოტის დროშას.

• • •

მოხსენება „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 50 წლისთავის შესახებ“ გააკეთა სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუბლეიმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

სოფლის მმართველი ორგანოები

რედაქციას უპასუხებს ბაქრაძის გალის რაიკომი

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 3 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით. წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომმა რედაქციას აცნობა:

პარტიის გალის რაიონული კომიტეტის ბიუროს განიხილა ზემოაღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები და სავსებით სწორად მიიჩნია ამ ზეთის კრიტიკა.

ბიუროს აღნიშნა გალის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ავტოტექნიკუმის, მარაგების სახელოსნოს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, კოსორის, ციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის, ადმინისტრაციის, პარტიულ-პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, აგრეთვე შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების არასაკმარისი მუშაობა სპეკულაციასთან ბრძოლის დარგში.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, ციტრუსოვანთა ნაყოფის სახეობიერ ციოდ გატანის ცდილისათვის და ადმინისტრაციის ნებადაურთველად საქმეთა დღეების უმიზეზოდ გაცდენისათვის გალის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ი. ჯოლოგუა მოხსენია სამუშაოდან, ავტოტექნიკუმის მომარაგების სახელოსნოს ოსტატს ა. ხორავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო კომკავშირელ ო. ჯოლოგუას საქართველოს აღმასკომის გალის რაიონის ბიუროს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ანგარიშგებაში შეტანით. ბიუროს დასახა ღონისძიებანი მომავალში მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

რაიკომის ბიუროს დადგენილება განხილულ იქნა დახასებელებულ ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

კოლეგიის გაფართოებული სხდომა

9 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა პარტიული ორგანიზაციასთან ერთად.

„1972 წელს რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაობის შედეგებისა და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ფ. ანანიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრი დ. ჯიმენსაია, აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრი ხ. ჯიჯიეშვილი, თბილისის საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგე ბ. ბერიანიძე. (საქინფორმი).

მთავარემავალი იკვლევს პრაქტერს

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი. 10 თებერვალი. (საკინფორმი). „ლუნოხოდ-2“ თვითმავალ აპარატთან კავშირის მორიგი სეანსის დროს, რომელიც 9 თებერვალს ყაზახეთში, მიმდინარეობდა იმ კრატერის რაიონში, სადაც კომპლექსური მეცნიერული კვლევა, რომლის მასლობლად გაჩერდა ავტომატური აპარატი მთვარის წინადღის დამლევს.

სეანსი 11 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სეანსის დროს წარმოებდა კრატერის ზვინულისა და ფერდობებზე, მისი ამოფრქვევის ზონაში, აგრეთვე კრატერისაგან 30-40 მეტრით დაშორებულ ადგილებში ქანების დამაგნიტების ფაზომები. ამასთან მთვარემავალი კრატერს შორდებოდა ოთხი ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულებით, შემდეგ კი კვლავ უბრუნდებოდა მას. ავტომატური ლაბორატორიის მოძრაობის ასეთი სქემა აირჩიეს მაგნიტურზომვების ხარისხის უსტანისათვის, აგრეთვე შესასწავლ რაიონში მთვარის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებისა და ქიმიური შემადგენლობის უფრო სრულად შესწავლისათვის.

კრატერის შესწავლის კომპლექსური პროგრამის შესრულებისას მთვარემავალმა გაიარა 364 მეტრი და 120-ჯერ შემობრუნდა. სეანსის დროს ხდებოდა მეორე სასწავლი ზედაპირის პანორამის გადაღება.

ამ სეანსისათვის გათვალისწინებული სამეცნიერო გაზომვების პროგრამა მთლიანად შესრულდა. თვითმავალი აპარატის ყველა სისტემა და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. „ლუნოხოდ-2“ აპარატთან კავშირის შემდეგი სეანსი გათვალისწინებულია 10 თებერვალს.

ვიზიტი დამთავრდა

მგზეპების არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნულთა უშიშროების საკითხებში მუჰამედ ჰაფეზ ისმაილმა, რომელიც მოსკოვში იმყოფება, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი, 10 თებერვალს ვლადიკავკაზი მიიტანა ვ. ი. ლენინის ბაზუოლეუმთან.

ისევე დღეს მუჰამედ ჰაფეზ ისმაილი და მისი თანმხლები პირები მოსკოვიდან კიროვის გავიმგზავრნენ. (საკდესი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური დაჯილდოებით დაჯილდოდეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი კონსტანტინე ვიაჩესლავის-ძე ჩხეიძე.

საქართველოს კომკავშირის საბრძოლო ამოცანები

9 იანვარს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმი, რომელმაც განიხილა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, დავალებული სქემისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის თვითეული კომკავშირელის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხები.

მოხსენება „რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები სრულიად საკავშირო ალკკ წევრების შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის გაღიღების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზების განყოფილების გამგე ვ. ივანოვი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელიც მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და ჭაბუკს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მესამე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ყოველდღიური ფაბკვრელური მუშაობით და წარჩინებული სწავლით აღნიშნონ 1973 წლის ყოველთაო ცხოვრება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. გამრეკელმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 და მე-4 პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის დავალებით სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ჯაჯლიავამ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელი გადასცა საქართველოს რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციას.

სახალხო განათლებაში აქტიური მუშაობისათვის კომკავშირულ მუშაკთა ჯგუფს გადასცეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საპატიო სიგელები.

კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის გ. სიხარულიძეს და ნ. გაფრინდაშვილს გადასცეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. შეგნენკო. (საქინფორმი).

საქანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

საგრუნავი კიდევ ბევრია

ნაბადები ერთ-ერთი ლამაზი, ძლიერი და დოვლათიანი საკოლმეურნეო სოფელია არა მარტო მახარაძის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ აქაური კოლმეურნეებს „უნდათ კიდევ უფრო კარგი, მეტი სიმდიდრითა და დოვლათით იყოს სავსე მათი სოფელი, კოლმეურნეობა.

სწორედ ამ სურვილით, ამ მისწრაფებით იყო გამსჭვალული კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თვითეული გამოსვლა. მომხსენებელმა, ვ. ნ. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. წითლიძემ და კამათში მონაწილეებმა — ბრიგადიერებმა გ. ხუციძემ, კ. პატარავამ, მეცხოველეობის ფერმის გამგემ ზ. თავაძემ, შეკანიზატორმა დ. მახარაძემ, კოლმეურნეებმა თ. თევზაძემ, მ. კვაჭანტირაძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. გობრონიძემ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ბოლქვაძემ და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთი კოლმეურნეობის, სოფლის ავ-კარგზე.

ნატანების კოლმეურნეობამ დიდი ხანია გაითქვა სახელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლით. სოფლის მშრომელთა მაღალნაყოფიერი შრომა შესაფერად არის დაფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. 22 კაცს მიკუთვნებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, 530-ზე მეტი დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით. ნატანებლები პირნათლად ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. ამაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელი წლების მაჩვენებლები. ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში კოლმეურნეებმა სახელმწიფოს გეგმის ზვეთ მისცეს 963 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 100 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 48 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, 330 ცენტნერი ხორცი, 336 ცენტნერი რძე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

საზოგადოებრივი მეურნეობის წამყვანი ბრიგადა მეჩაიეობა. გასულ წელს კოლმეურნეობამ 2.520 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცა სახელმწიფოს. ჩაის უხვი მოსავლის მოყვანით განსაკუთრებით ისახელეს თავი ვ. ცერცვაძის, ა. მიმინოშვილის, ი. გორგილაძის, შ. მენაბდის, გ. ხუციძის ბრიგადებმა, აგრეთვე იმ რგოლებმა, რომლებსაც ხელმძღვანეობენ ნ. ცენტერაძე, ს. ნიკოლაიშვილი, ლ. ტაკაძე, თ. თევზაძე, ა. გელაშონია, ნ. თავაძე და სხვები. ვეტერან მეჩაიე ლ. გოგოტიშვილის რგოლმა საშალოდ ჰექტარზე 13.213 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ მიმდინარე წლის ჩაის ფოთლის კარგი მოსავლის მიუხედავად იყო სერიოზული ნაკლოვანებები, რის გამო კოლმეურნეობამ ვერ გამოიყენა ყველა რეზერვი და შესაძლებლობა უფრო მაღალი მოსავლის მოსაყვანად. მოურიდებლად გააკრიტიკეს თ. ანთაძის, ზ. მახარაძის, ი. პატარავას, ს. ნაკაიძის, შ. სალარაძის, ბ. ბორჩხაძის, მ. ჩხაიძის, მ. მიქაბაძის, რგოლები, რომლებმაც ვერ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები. კოლმეურნეობის № 4 ბრიგადაში, რომელსაც მ. ცენტერაძე ხელმძღვანელობს, 34 ოჯახს სრულებით არ ჰქონდა მიმაგრებული ჩაის პლანტაცია, რის გამო თითქმის უპატრონოდ იყო მიტოვებული ოთხი ჰექტარი.

მომხსენებლმა და მოკამათეებმა უურადღება დაუთმეს ჩაის შრომატევად მოსაუთანა მექანიზაციას და აღნიშნეს, რომ თუმცა კოლმეურნეობამ გასულ წელს გაპროცენტი. კოლმეურნეობის პლანტაციებში ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 450 ძირი მცენარეა, მაშინ როცა თვით კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ჰექტარზე გაანგარიშებით 1.300 ძირზე მეტი ხარობს.

საზოგადოებრივი მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა. 1971 წელთან შედარებით აქაურმა მეცხოველეებმა გაზარდეს პროდუქტიულობა, თვითეულ ძროხაზე 1293 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 1445 კილოგრამი რძე. მაგრამ კრებამ ეს დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა და აღნიშნა, რომ მეცხოველეობის რენტაბელობის ზრდის საქმე მეტ ზრუნვას მოითხოვს.

კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობაში სათანადოდ არ ზრუნავენ მებოსტნეობის განვითარებისათვის. საზოგადოებრივ მეურნეობაში იმდენი ბოსტნეულიც კი ვერ მოპყავთ, რომ საკოლმეურნეო საბავშვო ბაღები და ბაგები უზრუნველყონ საკუთარი ბოსტნეულით, ამიტომ ბაზარში უხდებათ მისი ყიდვა.

კოლმეურნეობაში ორიან შრომის დისციპლინის ცალკეული დამრღვევებიც, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას და ჩაის კრეფის და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გადამწყვეტ პერიოდში გარე-გარე დადიან.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯაჯანიშვილმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კვლავ, უკვე მეოცედ, აირჩია გ. წითლიძე.

ბ. ჩხაიძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვალდებულებანი 1973 წლისათვის

თავრებენ 1973 წლისათვის 60-მდე თემით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობას. „ეძრეოდ:

სეისმოლოგიის, სეისმური ზონდირებისა და სეისმური მასალების გამოყენებით ჩატარდება კავკასიის ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის სეისმურ-გეოლოგიური აგებულების ზოგიერთ თავისებურებათა და ძირითადი გამოყენი ზედაპირების მორფოლოგიის ზოგიერთ თავისებურებათა გამოკვლევა.

— დამთავრდება რუსულიდან ქართულ ენაზე მანქანური თარგმნის ალგორითმის „ომპლექსური გაწყობა, რაც გამომთვლელ მანქანა მ-222-ზე ამ დარგში მნიშვნელოვანი ექსპერიმენტის ჩატარების საშუალებას იძლევა.

— „საქენერგოს“ სისტემაში დაინერგება აკადემიის მეცნიერთა მიერ შექმნილი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის ხარჯის ავტომატურ ტელეგაზომვას საქართველოს ენერგოსისტემის ქვესადგურებში.

— დამთავრდება ექსპერიმენტული გამოკვლევა ხელოვნური ხაოიანობის გაფლენისა სითბოგაცემაზე, რომლის შედეგების დანერგვა მნიშვნელოვნად გაადიდებს ბირთვული რეაქტორების სიმძლავრეს.

— განხორციელდება „ინვალიჰესის მშენებლობის ტერიტორიის სეისმური მიკრორდარაიონება და სათანადო რუკები პრაქტიკული გამოყენებისათვის გადაეცემა „თბილჰიდროპროექტს“.

მიმდინარე წელს მეცნიერებათა აკადემია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს 20-მდე წინადადებას სახალხო მეურნეობაში კვლევა-ძიების შედეგების გამოყენების შესახებ. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: წმინდა მანგანუმის შლამების გამდიდრებისათვის განკუთვნილი ახალი ტიპის ვერტიკალური ფლოტაციური მანქანა, რომლის ხვედრითი მწარმოებლობა არსებულთან შედარებით 5-6-ჯერ მაღალია; მანგანუმის საფუძველზე შექმნილი კატალიზატორი, რომელიც გამოყენებას ჰპოვებს ქიმიურ და მეტალურგიულ მრეწველობაში მაღალი აღდგენითი უნარის მქონე სამრეწველო აირების მისაღებად, ქართველ მეცნიერთა რამდენიმე წინადადება მეტალურგიის დარგში, რომლებიც მიმართულია ლითონების და შენაღნობების ხარისხის ამაღლებისა და მათი მიღების ტექნოლოგიის არსებითი გაუმჯობესებისაკენ.

მეცნიერებათა აკადემიის ბ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის, კიბერნეტიკის, მართვის სისტემებისა და გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტები, თანახმად რესპუბლიკის სავრეწველო დაწესებულება-ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებისა, 1973 წელს შეასრულებენ ერთობლივ სამუშაოებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოო პროცესების შემდგომ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერებისა და მთლიანად წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას.

მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები 1973 წელს შეასრულებენ მრავალ სამუშაოს რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა თხოვნით. მაგალითად, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების ინსტიტუტები შეასრულებენ 37 ასეთ სამუშაოს.

აკადემიის დაწესებულებები სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ რესპუბლიკის დაინტერესებულ საწარმოთა და საპროექტო ორგანიზაციებს საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული გარსების საიმედოობის შემოწმებაში, ქანების ფიზიკურ-ტექნოლოგიური თვისებებისა და კატეგორიების დადგენაში და სხვ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში ინჟინერ-მშენებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე 1973 წელს მომზადებას გაივლის 200-ზე სპეციალისტი. საქართველოს სამთო ობიექტებზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის ჩატარდება კონსულტაციები და სემინარები სამადნოთა დამუშავების, აფეთქების, ჰიდროტრანსპორტირების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე.

მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები 1973 წელს ჩაატარებენ კვლევა-ძიებას სასოფლო სამეურნეო კულტურების დაკ

სხვათა შეცდომების ძიებისას...

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ერთი შემართებულო წერილის გამო

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მიმდინარე წლის 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ენიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. მიქელაძის წერილი „რაში სცოდავს „სამამულო თომატიკის ისტორია“. წერილი შეეხება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცემულ „სამამულო მათემატიკის ისტორიის“ ორველ ტომს (კიევი, 1966 წ.).

პროფესორ მ. მიქელაძეს მიზნად დაუსახავს ეხსნა ამ შეცდომებისა, რომლებიც მისი აზრით ეშავება ამიერკავკასიის ხალხების, უმთავრესად ქართველი ხალხის ისტორიის ამა თუ იმ ფაქტის ასახვნებისას 1966 წელს კიევში გამოქვეყნებულ ტომში. სამწუხაროდ, სხვათა შეცდომების ძიებისას ავტორი წერილის ავტორი არაერთ შეცდომასა და ეუსაბამობას უშვებს.

მ. მიქელაძის ეს წერილი, რომელმაც ჩვენი საზოგადოებრიობის სამართლიანი უკმაყოფილება მოიწვია, განხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ი. ვეკუამ და გ. ონერთელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. კუპრაძემ, ე. ხარაძემ, ა. აბაშიძემ, რ. დვალმა, გ. ჭოღოშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ფრანგიშვილმა და პროფესორმა ბ. მიქელაძემ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიჩნია, რომ პროფესორ მ. მიქელაძის წერილი, სადაც ამიერკავკასიის ხალხთა ძველესი ისტორიის საკითხებია გაშუქებული, ეფუძნება მცდარ და დაუსაბუთებელ შეხედულებებს ქართველი და ამიერკავკასიის მოძმე ხალხების ეთნოგენეზისისა და მათი ისტორიის ზოგიერთი ონკრეტული ფაქტის გადმოცემისას.

პრეზიდიუმი თვლის, რომ პროფესორ მ. მიქელაძის წერილს ასეთი სახით გამოქვეყნება ეზეში ეცდომაა და ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებულ ტრადიციებს.

პრეზიდიუმი, მიაქცევს რა პროფესორ მ. მიქელაძის ყურადღებას ამ გარემოებას, იმედოვნებს, რომ იგი გააკეთებს სწორ დასკვნებს და მომავალი მუშაობის პროცესში გამოასწორებს დაშვებულ შეცდომებს.

ამავე საკითხს მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც აზრი გამოთქვეს **გ. აბაშიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, ს. ჭილაიამ, ტ. ნონეშვილმა, ნ. გურეშიძემ, რ. მარგიანმა, ლ. კალანდაძემ, ჯ. კანდელაკმა, ელ. მაღრაძემ და მ. ფოცხიშვილმა.**

ყველა გამოსულმა ერთხმად, ერთსულოვნად აღნიშნა, რომ მ. მიქელაძის წერილი შეიცავს მთელ რიგ უხეშ შეცდომებს. ამ წერილში სრულიად დაუსაბუთებლად, ცალმხრივად არის განხილული ჩვენი მოძმე ერების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. აღნიშნეს ისიც, რომ წერილის ავტორი ამაქღავნებს საკითხის არასაკმარის ცოდნას და **წერილი მთლიანად ტოვებს დილეტანტურ შთაბეჭდილებას.**

სხდომაზე აღინიშნა, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ ბოლომდე ვერ გამოიჩინა წერილის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ბ. ფანჯიკიძემ** წერილი დაბეჭდა სარედაქციო კოლეგიაზე ანუხილველად.

სხდომაზე გამოსულებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ისეთი წერილების დაბეჭდვისას, რომლებიც ეხება ჩვენი მოძმე ერების ისტორიისა და კულტურის საკითხებს, რედაქცია უნდა იჩენდეს განსაკუთრებულ ფაქიზ მიდგომას, ტაქტსა და პოლიტიკურ აღლოს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მ. მიქელაძის წერილის გამოქვეყნება ჩათვალა შეცდომად, ხოლო გაზეთის რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელს გ. ფანჯიკიძეს გამოუცხადა საყვედური.

სამდივნომ დაავალა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ამხ. **რ. მარგიანს** გაძლიერეს მომთხოვნელობა რედაქციის თანამშრომელთა მიმართ, აამაღლოს მათი პირადი პასუხისმგებლობა მასალების შერჩევისა და დაბეჭდვის დროს.

რაში სცოდავს პროფესორი მ. მიქელაძე

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე პროფესორ მ. მიქელაძის წერილის გამოქვეყნებასთანავე ჩვენმა რედაქციამ წერილობით მიმართა აკადემიკოს გ. მელიქიშვილისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ალ. ბარამიძეს შენიშვნები, რომელთაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

1. სამამულო მათემატიკის ისტორიის პირველი ტომის შეფასებისას პროფესორ მ. მიქელაძეს არ მოსწონს, ალბათ, ის, რომ ამიერკავკასია ეწოდა „ჩიხისთვის“ შეუდარებია, და, მისი აზრით, უარყოფს სამხრეთის სამყაროსთან ამიერკავკასიის ხალხების კავშირურთიერთობის არსებობას.

რა თქმა უნდა, სამხრეთის ცივილიზაციებთან ამიერკავკასიის მოსახლეობის კავშირურთიერთობა, მართალია, ძველადანვე მეტად ინტენსიური იყო. ამისი მოწმობა ჩვენ უსაზღვროდ მოგვეცემა როგორც წერილობით საისტორიო წყაროებში, ისე არქეოლოგიურ მასალაში. სამწუხაროდ, ამ რეალური ფაქტების მაგიერ წერილის ავტორს მოჰყავს სამხრეთის სამყაროსთან ამიერკავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ქართველთა მეჩიდრო კავშირის არსებობის საკუთარი „საბუთები“, მაგრამ ეს „საბუთები“, როგორც წესი, წარმოადგენენ სხვადასხვა ჰიპოთეზებს, რომელთა მოგება უცილობელი ეშმარიტების სახით შეუძლებელია.

ასე, მაგალითად, არსაიდან ჩანს, რომ ეგვიპტის, მესოპოტამიისა და ბერძნეთის კულტურათა აყვავების ხანაში ქართული მოდგმის ტომები ბინადრობდნენ ზღვისპირეთში. ამ ადგილებში ეს ტომები ბინადრობენ ჯერ-ჯერობით. ეს ფაქტი ეჭვს იწვევს, ეს ტომები ადრეულ ეტაპზე ეკავშირებოდნენ ერთმანეთს. ამ ეტაპზე ეს ტომები ეკავშირებოდნენ ერთმანეთს. ეს ეტაპი ეკავშირებოდა ერთმანეთს. ეს ეტაპი ეკავშირებოდა ერთმანეთს. ეს ეტაპი ეკავშირებოდა

მსოფლიო დღეს

ვალდჰაიმის განცხადება

იორდანია უარყოფს

ბულგარეთი, 10 თებერვალი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიაჩნია, რომ შეთანხმება, რომელსაც ხიმლაში მიაღწიეს ინდოეთმა და პაკისტანმა, კონსტრუქციული წინგადადგმული ნაბიჯია სამხრეთ აზიაში ვითარების ნორმალიზაციის გზაზე, განაცხადა პრეს-კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა.

მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მასთან მოლაპარაკების დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ და პაკისტანის პრეზიდენტმა ზ. ა. ბჰუტომ განაცხადეს, რომ სურთ ამ რაიონის კვეყნების წინაშე დასახულ პრობლემათა მშვიდობიანი გადაჭრა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გამოთქვა იმედი, რომ მისი მოგზაურობა სამხრეთ აზიის ქვეყნებში და მოლაპარაკება სამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობს სადავო საკითხთა სწრაფად გადაწყვეტას.

დღესვე კ. ვალდჰაიმი ჩავიდა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ დაკაში.

ვაშინგტონი, 10 თებერვალი. (სასადესი). გაზეთმა „ვაშინგტონ ივნინგ სტარმა“ გამოაქეყნა ცნობა, თითქოს იორდანიის მეფე ჰუსეინს, რომელიც აქ ვიზიტად იყო, განეცხადებინოს, რომ „იორდანია მზად არის დაიწყოს სეპარატული მშვიდობიანი მოლაპარაკება ისრაელთან, ისე რომ ეგვიპტეს არ დაელოდება“. გაზეთის თქმით, მეფეს იგრეთვე უთქვამს, „იორდანიამ და ისრაელმა გამართეს წინასწარი მოლაპარაკება, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოყოლია“.

ამანი, 10 თებერვალი. (საადესი). მეფე ჰუსეინმა უარყო „ვაშინგტონ ივნინგ სტარის“ მტკიცება, თითქოს განეცხადებინოს, რომ იორდანია აპირებს ტელ-ავივთან სეპარატული მოლაპარაკების მოწყობას. მეფის ეს განცხადება გადასცა იორდანიის ტელევიზიამ. „იორდანიის პოზიცია, — ხაზგასმით აღნიშნა მეფემ, ნათელი და უცვლელია. ჩვენ ვესწრაფვით ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საყოველთაო მოწესრიგებას უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ფარგლებში და მივესალმებით ყველა დადებით ინიციატივას ამ მიმართულებით.

იორდანია, — განაცხადა ჰუსეინმა, — უარყოფს ნაწილობრივ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა არაბი ძმების წინაშე, და რამდენადაც არაბთა პრობლემა საერთო პრობლემაა“.

ტერორი გრძელდება

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკადესი). ვითარება ოლსტერში კვლავ მწვავდება. დღითიდღე სულ უფრო მეტი ხალხი იდუპება ინგლისელი ჯარისკაცებისა და პროტესტანტი ულტრების ტყვიით. ამ ბოლო ოთხი წლის განძილზე დაიღუპა დაახლოებით 720 კაცი, ამასთან 22 — ამ თვეში.

ბელფასტი ამ დღეებში პრაქტიკულად პარალიზებულია. გაისმის ბომბების აფეთქებისა და სროლის ხმა, ჯარი სანძრების კვამლის სუნით არის გაჟღენთილი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნება ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქის კათოლიკურ რაიონებში. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გადავხედეული ექსტერმისტები შეცვივდნენ წმინდა ანტონის ეკლესიაში, დაანგრიეს საკურთხეველი, გააფუჭეს ფრესკები, შემდეგ კი ციცხლი წაუკიდეს ეკლესიას.

მშვიდობიანი პაიფონი

ჰაიფონი, 10 თებერვალი. (სასადესი). „ვეიხარებს გამარჯვების გაზაფხულის!“ — ეს ლოზუნგი ამშვენებს დღეს ჰაიფონის ყველა ქუჩას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სადიდით მეორე ქალაქში, ორმელშიც მილიონი კაცი ცხოვრობს, ახლა ენთუზიაზმი სუფევს. ეს ენთუზიაზმი გამოიწვია მშვიდობიანი გაზაფხულის დადგომამ, ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებამ და გამარჯვებასთან დაკავშირებით ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მმართველმა ხალხისადმი.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა** და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა ელჩების დონეზე.

● **ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა** და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე.

● **შეერთებული შტატების** პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერი, რომელიც ხამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში მოგზაურობს, ლაოსში ჩავიდა.

● **პრეზიდენტმა** რ. ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც 90 დღით კრძალავს ამერიკის უდიდესი რკინიგზის კომპანიის „პენსილვანიას სენტრალის“ მუშათა გაფიცვას.

● **აშშ-ის შეიარაღებული ძალების ხარდალმა** წყარი ოკეანის რაიონში ადმირალმა ნ. გეილერმა ჰონოლულუში (ჰავაიის შტატი) განაცხადა, რომ ამერიკის თვითფრინავები კვლავ ყოველდღე ბომბავენ ლაოსის ტერიტორიას.

IV საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში

მადრიდი და ლოზანა... თბილისის ტაკვლიო

— საქართველოს დედაქალაქს ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს თავისუფლად შეიძლება ეწოდოთ „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“, — ასე განაცხადა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ ანდრეევმა — საქმე ის არის, რომ ფავორიტებიდან თბილისში მხოლოდ ინგლისელები არ ჩამოვიდნენ და კიდევ, თუ გნებავთ, ესპანელები და იტალიელები. სპეციალისტები, მწვრთნელები, თვითონ მოჭიდავეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ შეჯიბრებას და სამართლიანად თვლიან მას გენერალურ რეპეტიციად ევროპისა (მადრიდი, 10-13 მაისი) და მსოფლიოს (ლოზანა, 22-24 ივნისი) ჩემპიონატების წინ. რაც შეეხება საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობას, ჩვენ ამ ასპარეზობის შემდეგ ძირითადად დაველაპარაკებით გუნდს, უფრო სწორი წარმოდგენას ვიქონიებთ მის მირთვზე.

... 18 თებერვალი გამოვიდა ქვეყნაშუალო წონითს კატეგორიაში — 18 ათეული ჩაება უკოტერმოსილო ბრძოლაში სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კიკნაძის პრიზის მოსაპოვებლად. სამი მათგანის — სსრ კავშირის ხალთა მეხუთი სპარტაკიადის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სერგო ჭარელის, 21 წლის სპორტის ოსტატ ამეესლომ წიკლაურისა და 19 წლის დიდარ ხაბულიანის გამოსვლას განსაკუთრებული გულისყურით ადევნებდნენ თვალს გულშემატკივრები.

პირველი წრე სამივე მოჭიდავემ წარმატებით განვლო — ს. ჭარელმა ქულებით მოუგო პოლონელ მ. ტაბლას, ა. წიკლაურმა — კორეელ პაკ პეონ ჰას, ხოლო დ. ხაბულიანმა — ა. ვირპულდონკს (გდრ).

სამწუხაროდ, მომდევნო წრეში ჩვენმა მოჭიდავეებმა დამარცხება განიცადეს: ჭარელმა ქულებით წააგო რ. ჰინდელთან (გდრ), ხოლო წიკლაურმა და ხაბულიანმა წმინდა დამარცხება განიცადეს, შესაბამისად, კოლეელ ვ. დეონიციოვთან (5 წუთსა და 45 წამში) და მაიკოპელ ვ. ნივზოროვთან (3 წუთში).

ამ დღეს ევროპის ჩემპიონმა ლ. ... ნიორიებს შორის ნივზოროვმა კიდევ ერთი წმინდა გამარჯვება მოიპოვა — კეტელ ვ. ლამასთან (4 წუთი და 40 წამი), ხოლო დვონიციოვმა 2 წუთსა და 20 წამში ჯაკრა ტატაშვილი უნარელი ი. მედე და 1 წუთსა და 33 წამში — დ. დიმიტროვი (ბულგარეთი). კარგი ოსტატობა უჩვენეს ფრანგმა ჰ. ვიალმა და ლ. ფერემ (გდრ). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელმა შეძლო მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის, ხარკოველი ა. ნოვიკოვის დამარცხება.

დღისით სპორტის სასახლეში გაიმართა საშუალო წონის მოჭიდავეთა წინასწარი შეხვედრებიც. ამ ტურნირს, წონა ნორმიანი კატეგორიისგან განსხვავებით, თავისი ფავორიტიც ჰყავს — თბილისის ტურნირებში ორგზის გამარჯვებული, მოსკოველი ანდრეი ლიუბარსკი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, თბილისელები გურამ გოგოლაური, რამაზ ხარშილაძე და სხვ.

29 წლის გ. გოგოლაურმა ქულებით სძლია კ. ჰოფმანს (გდრ), მაგრამ ასევე დამარცხდა ახალგაზრდა თანაგუნდელი რ. ხარშილაძისთან. აღსანიშნავია, რომ 22 წლის ხარშილაძემ გუნინ დღისით კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვა — კორეელ ჩენ ინ ცერთან და ლენინგრადელ ი. გერასიმოვთან. ამ უკანასკნელს მანამდე ქულებით დამარცხებული ჰყავდა 19 წლის თბილისელი სპორტის ოსტატი ჯემალ კბილაშვილი, რომელმაც თავის მხრივ წმინდად (2 წუთსა და 15 წამში) სძლია ბულგარელ ც. კოლევს.

გუშინ საღამოს სპორტის სასახლის ტატამზე გაიმართა ფინალური შეხვედრები.

ქვეყნაშუალო წონითს კატეგორიის ძიუდოისტთა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ვ. ნივზოროვი და ჰინ ლაჰერა (კუბა), რომელმაც დღის კოვს და ლ. ფერსს (გდრ). საპატიო სპორტსმენმა შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება და პირველობის წოდება.

„ქართული ფინალი“ უწოდეს ბრძოლას, ორ ქართველ ბიჭს — ... ...